8178

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 24 ოქტომბერი, 1941 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 43 (202) ფასი 30 კაპ.

## რკინისებური დისციპლინის და რევოლუციური წესრიგის სადარაჯოზე

უკვე მესამე კვირაა, მთელს ფრონტზე, ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე, ჩვენი უშიშარი და გაუტეხელი წითელი არმია იგერიებს მტრის ახალ გააფთრებულ შემოტევას. განსაკუთრებით დაძაბულ ბრძოლას აწარმოებს ჩვენი არმია მოსკოვისა და დონბასის მისადგომების დასაცავად. მტერი ამ ორ მიმართულებას მთელი თავისი შესაძლებლობით მიაწყდა, მან მიზნად დაისახა აღმოსავლეთის ფრონტზე დაზამთრებამდე მიაღწიოს გადამწყვეტ შედეგს. აღიარებს რა წითელი არმიის უდიდეს სიმტკიცეს, გამძლეობას, წინააღმდეგობის უდიდეს უნარს, ოფიციალური ფაშისტური პრესა სწერს, რომ მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლაში ჩვენმა არმიამ ან გამარჯვება უნდა მოიპოვოს ან უნდა დაიღუპოს. მტრის მიერ საკითხის ასე დასმაც კი ცხადჰყოფს, რომ მტერი გამარჯვების მოსაპოვებლად უკიდურეს ღონისძიებებს მიმართავს, არ დაზოგავს არაფერს და სასწორზე დასდებს მთელი თავისი არმიის არსებობის საკითხს.

მართლაც, ყოველი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი პუნქტის აღება სისხლით დამთვრალ და გაგიჟებულ ჰიტლერს მრავალი ათასი მეომრის სიცოცხლედ უჯდება. მარტო ტაგანროგის მისასვლელებთან მტერმა ოცდათხუთმეტი ათასი მეომარი დაჰკარგა. ძალღონის უკიდურესი დაძაბვით მტერი იჭერს ჩვენს სოფლებს და დაბაქალაქებს, სამაგიეროდ ჰკარგავს უამრავ ცოცხალ ძალას, ჰკარგავს ისეთ რამეს, რისი ანაზღაურებაც არ შეიძლება. მტერს შეუძლიან აღადგინოს წითელი არმიის, საზღვაო და საჰაერო ფლოტისაგან განადგურებული მატერიალური ნაწილი, მაგრამ საბჭოთა ველებზე მილიონობით დამარხულ თავის ჯარს ფაშიზმი სიცოცხლეს ვერ დაუბრუნებს. ეს უამრავი მსხვერპლი, ფაშისტური არმიის განადგურების ისეთი ტემპი, რის მოწმენიც ჩვენა ვართ, მტრის დამარცხების, მტრის მოახლოვებული აღსასრულის უეჭველი მომასწავებელია.

ეს მედგარი, გაუტეხელი წინააღმდეგობა, ეს დაუნდობელი მუსვრა მტრის ურდოებისა უფრო მეტის დაძაბულობით უნდა გაგრძელდეს,—ასეთია საბჭოთა ხალხის და მისი მთავრობის ურყევი გადაწყვეტილება. ყველა საბჭოთა მოქალაქის, ყველა მშრომელის წმინდათა-წმინდა მოვალეობაა გაიღონ ყოველგვარი მსხვერპლი ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად. ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის დაკარგვა ვერ შეაშფოთებს, ვერ დააფრთხობს და ვერ შეაშინებს საბჭოთა ხალხს, რადგან მან იცის, რომ ჩვენი დანაკლისი დროებითი და წარმავალია. ჩვენ ვკარგავთ იმას, რისი დაბრუნებაც შეიძლება, მტერი კი ჰკარგავს იმას, რისი დაბრუნებაც არ შეიძლება და რაც საბოლოო ანგარიშში სწყვეტს ომის ბედს.

მტერი დარწმუნდა, რომ მხოლოდ ტანკების, მხოლოდ ყუმბარმშენების, მხოლოდ მექანიზებული ნაწილების გაშმაგებული იერიშებით ვერ მოდრეკს ჩვენს წინააღმდეგობას. ამიტომ იგი ცდილობს არევ-დარევა გამოიწვიოს ჩვენს ზურგში, შეჰქმნას პანიკა ჩვენს რიგებში. ამ მიზნით ჰგზავნის ჯაშუშებს, დივერსანტებს, პროვოკატორებს, რომლებიც ავრცელებენ ყალბ ცნობებს, ცდილობენ გააღვივონ ნაციონალური შუღლი, ცდილობენ შეარყიონ ჩვენი სიმტკიცის ერთ-ერთი მთავარი ბურჯი — ხალხთა სტალინური მეგობრობა.

დაუნდობელი ბრძოლა მოსისხლე მტრის საზიზღარ აგენტებს, რომლებიც სწამლავენ პატრიოტული მგზნებარებით, საბრძოლო სულისკვეთებით გამსჭვალულ ატმოსფერას და რომლებიც ამით ფიქრობენ გასტეხონ საბჭოთა მოქალაქის შრომისა და ბრძოლის უნარი.

მთელი სისასტიკით უნდა იქნას მოკვეთილი საბჭოთა საზოგადოებრიობის ჯანსაღი სხეულიდან ყოველი იმათგანი, ვინც ადვილად ვარდება ფაშიზმის აგენტების პროვოკაციის ქსელში, ვინც ეძლევა პანიკურ განწყობილებას და ასეთივე განწყობილებით აავადებს სხვებსაც.

როგორც არასოდეს, დღეს საბჭოთა მწერალი მობილიზებულ უნდა იქნას იმისათვის, რომ დაეხმაროს პარტიასა და ხელისუფლებას რევოლუციის წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებაში.

— „რაც უფრო რთულია ვითარება ფრონტზე, — სწერს „პრავდა“, — მით უფრო მტკიცე უნდა იყოს დისციპლინა სამხედრო ნაწილებსა და ზურგში... გამძლეობა, დისციპლინა, რევოლუციური წესრიგი აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ მტერი უკუვაგდოთ“, — საბჭოთა მწერალი ერთი წუთითაც არ უნდა ივიწყებდეს პარტიის ამ მოწოდებას და კალმით თუ სიტყვიერი გამოსვლით უნდა აღვივებდეს ხალხში რევოლუციურ სიფხიზლეს, ბოლშევიკურ შეურიგებლობას ყველა პანიკიორისა და დეზორგანიზატორის მიმართ, ნერგავდეს და ამაგრებდეს რწმენას, რომ რევოლუციური წესრიგი და დისციპლინა არის ჩვენი გამარჯვების საწინდარი. დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მწერალი აქტიობას უნდა იჩენდეს არა მარტო როგორც შემომქმედი, არამედ როგორც აგიტატორი, რომელიც უნდა ამხნევებდეს და რაზმავდეს ხალხს ფრონტისთვის საჭირო პრაქტიკული საქმეებისათვის. მწერალი დღეს აღარ უნდა უცდიდეს თავის ორგანიზაციისაგან ამა თუ იმ დავალების მიღებას, ყველგან და ყოველთვის თავს საბრძოლო პოსტზე უნდა გრძნობდეს და პირველ საჭიროებისთანავე უხსნიდეს და განუმარტავდეს მოქალაქეებს დღევანდელი დაძაბული ვითარების სირთულეს, მოუწოდებდეს მათ ენერგიული გაორკეცებული მუშაობისაკენ, მთელი ძალღონის დაძაბვისაკენ სამშობლოსა და თავისუფლების გადასარჩენად.

მთელი მწერალთა აქტივი გამოუკლებლად გამოყენებულ უნდა იქნას მასობრივი პოლიტიკური მუშაობისათვის. მთელი ჩვენი ორგანიზაცია გადაქცეულ უნდა იქნას ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთ მთავარ საგიტაციო პუნქტად.

მთელი ჩვენი ორგანიზაციის, თვითეული მისი აქტიური წევრის ძალღონე, მისი ნიჭი და ლიტერატურული უნარი უნდა მოხმარდეს რკინისებური სიმტკიცის, რევოლუციური წესრიგის, ე. ი. იმ სიმაგრეების გაძლიერების საქმეს, „რომელთაც ვერავითარი მტერი ვერ აიღებს“ („პრავდა“).

## სოფლად სამამულო ომის დღეებში

### გიორგი კაჭახიძე

აქ მზის ღიმილი ნახა კვლავ სულმა,  
მაგრამ ცოტაა გზებზე ხმაური:  
მტრის შესამუსრად ფრონტზე წასულან  
სოფლის ვაჟკაცნი და მეთაურნი.  
თურმე სახლკარი ლხინით დასტოვეს,  
გულით შეჰფიცეს ხალხს ერთგულება.  
შინ დარჩენილნი ახლა ნატრობენ  
სახელოვანად მათ დაბრუნებას.  
მათზე მიამბობს ყველა გამრჯელი,  
მათზე მიამბობს ზღაპარს ტყის ღელე  
და მიმეორებს ტყეში დარჩენილ  
მათგან წასვლის წინ ნათქვამ სიმღერებს.  
თავისიანი ვხვდები გულღიად  
გამრჯე მეზობლებს, კეთილ ნაცნობებს,  
ყური ფრონტისთვის რომ მიუპყრიათ  
და კვლავ შრომაში რომ მამაცობენ.  
ვით მრისხანებას, ომს განიცდიან,  
მაგრამ იკლავენ დარდს და მოწყენას;  
ფოლადდებიან, რადგან იციან,  
ბედი მამულის ფრონტზე რომ წყდება.  
ხშირად ჭიშკრებთან თავს შეიყრიან,  
მთხოვენ: — გმირული რამე გვითხარი.  
ომის ამბები მათთვის წიგნია,  
გულის ფანცქალით წასაკითხავი.  
არ სურთ ამბებში მათ ჩამორჩენა,  
და რა შეაღებს ცას ალიონი  
როგორ ღელავენ, როს გამოჩნდება  
სოფლის შარაზე ფოსტალიონი  
ამ დროს ჭიშკრებთან მისგან იტაცებს  
ხალხი გაზეთებს, მხნე და ფხიზელი.  
შლიან, იგებენ:  
ცაზე, მიწაზე  
მტერს ვინ მოსტეხა მარჯვედ კისერი;  
გველს შხამს ვინ აცლის და სჯის ბოლომდე,  
დროზე ფრონტისთვის ვინ რას აკეთებს, —  
და სურთ, ყველასათვის უხვად მოჰქონდეთ  
სასიხარულო ცნობა გაზეთებს.

## ომის კანონი

### სერგო კლდიაშვილი

მეგობრებთან დარჩენას აზრი არა ჰქონდა. ისინი მთვრალები იყვნენ. ერთი, როგორც იქნა, საწოლამდე მიათრია, მეორეს სკამზე ჩაეძინა. სუფრა გაპარტახებული იყო. პაპიროსის ნამწვავებით მოზხამული ჰაერი შერეოდა ჭიქაში ჩარჩენილ არყის აორთქლებულ სპირტს და ოთახში მძაფრი, შემხუთველი სუნი იდგა.

ლეიტენანტ ფრანც კრიგეს სუფთა ჰაერი მოენატრა. ჩვეულებადაც ჰქონდა დალევის შემდეგ ხეტიალი. ასეთ მდგომარეობაში აზორგება იცოდა.

მიატოვა მეგობრები, გაიხურა მათი ოთახის კარი, ხმაურით ჩაიარა სასტუმროს კიბე და ქუჩაში გავიდა.

საღამოს სიგრილემ პირველ წუთში ოდნავ გააბრუა, მაგრამ ჰაერს მალე მიეჩვია და თავდაჭერილი ნაბიჯით გაჰყვა გზას.

ბინდი მხოლოდ ახლა იწყებოდა, ქალაქში კი ისეთი სიცარიელე და სიჩუმე იყო, როგორც ღრმა ნაშუაღამევს.

მიაბიჯებდა ყრუ ქუჩაზე, ბორავდა და არ იცოდა, რა ექნა. დარწმუნებული იყო, რომ ხისა და აგურის გადარჩენილ სახლებში ზოგან ადამიანები იყვნენ. უნდოდა გაერღვია კედლები და ყველანი გარედ გამოერეკა ამ ივლისის საღამოს, როცა ასეთი მომხიბლავი იყო ჰაერი, ცა, გარემო... გამოერეკოს ყველა, რომ აივსოს ქუჩა ადამიანის ხმაურით, ლაპარაკით, მხიარულებით. დიახ, სწორედ მხიარულებით! ყმაწვილების, გოგონების სიცილით! აიძულოს გაიღოს მიკეტილი დარაბები კაფეებისა, მოისმინოს ჯაზი, გაიაროს გაჩაღებულ დარბაზში, სადაც ხალხი სუფრას შემოსხდომია, თვალი ჩაუკრას რომელიმე გოგონას და სამასლაათოთ გვერდით დაუჯდეს... რა ადვილად მისაღწევია ყველაფერი ეს! საჭიროა მხოლოდ, რომ იმ ჩაბნელებულ სახლებიდან ხალხი გამოვიდეს!

ოცნება დაურღვია მოულოდნელმა ხმაურმა: ბუქსირზე მოათრევდნენ ნაპირჩაღეწილ ტანკს. შემდეგ ჩაიარეს სანიტარულმა მანქანებმა, რომლითაც დაჭრილები მიჰყავდათ.

მერე ისევ სიჩუმე ჩამოდგა. უფრო ღრმა და ნერვების ამშლელი. ლეიტენანტს საკუთარი ნაბიჯის ხმა ესმოდა და ეს ხმა აბრაზებდა. ეს ხმაური თითქო აძლებდა და აგებინებდა, რომ მარტოდ-მარტო მიაბიჯებდა.

მოაგონდა და მოენატრა მეგობარი გოგოები მიუნჰენიდან. სიმთვრალეში აუცილებლად ესტუმრებოდა რომელიმე მათგანს და მხიარულადაც გაატარებდა დროს. მაგრამ რა ქნას ახლა აქ, ბელორუსიის ამ პატარა ქალაქში, სადაც არა თუ ვინმეს იცნობდა, ვერავის ვერ ხედავდა?

ბინდი ძლიერდებოდა. მით უფრო იზრდებოდა მისი მოუსვენრობა. გაიფიქრა შესვლა იმ სახლში, სადაც ტყვედ ჩავარდნილი ქალები და გოგონები შერეკეს ჟინმორეულ ჯარისკაცების დასაცხრომად. წინასწარვე იცოდა, რომ იქ ვერ დარჩებოდა, მაგრამ მაინც მიაშურა.

თითონ ლეიტენანტსაც მძიმე კოშმარად ეჩვენა, რაც დაინახა. ორი დარბაზი ჯარისკაცებით იყო გაჭედილი. მათი ხმიანი ლაპარაკი და ურცხვი სიცილი ერთიან გუგუნად ისმოდა. ალკოჰოლისა და ოფლის სუნს შერეოდა კიდევ რაღაც არასასიამოვნო სუნი, რომელიც რატომღაც დედაკაცისა და ბინძურ საწოლს აგონებდა. აცრემლებულ და სახეჩამოკაწრულ ქალებს ეხვეოდნენ, ლოშნიდნენ და საწოლებისაკენ მიათრევდნენ ჟინმორეული ჯარისკაცები. ერთმა მათგანმა დაითრია პატარა გოგონა, ჯერ თითქმის ბავშვი, და ლეიტენანტს ღიმილით შესთავაზა.

— შენ გყავდეს!—ხელი აუქნია ამ უკანასკნელმა, გულგრილად შეხედა ბავშვის, გამხდარ, შეშინებულ სახეს, დარბაზი გაიარა და ისევ ქუჩაში გავიდა.

ეშმაკმა დალახვროს: არავინ სჩანდა! რა შუაშია ის, რომ მტრად სთვლიან, რომ ტყვიითა და ცეცხლით შემოიჭრა ამ ქალაქში! დეე, სძაგდეთ ის, მაგრამ მაინც გამოვიდნენ და აახმიანონ აქაურობა!

უეცრად თვალი მოჰკრა, რომ სახლიდან ქალი გამოვიდა. ქალმაც დაინახა ის, სწრაფად იბრუნა პირი და ჩქარი ნაბიჯით გასწია.

დადევნებული ლეიტენანტი მოსახვევთან დაეწია.

— დაგვეიანებიათ...—ჩაულაპარაკა ლეიტენანტმა, როგორც კი გაუსწორდა:—განა არ იცით, რომ ამ დროს სიარული აკრძალულია?

— ავადმყოფთან მივიჩქარი. სასწრაფო შველას საჭიროებს. ახლახან შემატყობინეს,—არც მიუხედავს, ისე უპასუხა ქალმა.

— შორს მიდიხართ?

ქალმა ადგილი დაასახელა.

— ო, ეგ შეუძლებელია!—ხელი ჩააქნია გერმანელმა, — იმ უბანში აუცილებლად დაგაპატიმრებენ. — და მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა:— წამომყევით, საშვებს მოგცემთ.

— არა, გმადლობთ!—იუარა ქალმა. — თუ აგრეა, უკან დავბრუნდები! სთქვა და გაბრუნდა სახლისკენ, საიდანაც გამოვიდა.

ლეიტენანტიც მობრუნდა და გაჰყვა.

მოსახვევიდან მოულოდნელად ჯარისკაცების ჯგუფი გამოჩნდა. შავი ლანდების მთვრალი ჯოგი. ისინი ხმიანი სიცილით მოდიოდნენ.

მათ დანახვაზე შემკრთალი ქალი გაჩერდა.

— გირჩევთ ხელში არ ჩაუვარდეთ, თორემ ვეღარც მე გიხსნით!—რაღაც კმაყოფილებით ჩაილაპარაკა ლეიტენანტმა.

ქალი აწრიალდა. აღარ იცოდა, საით წასულიყო. ჯარისკაცები კი ახლოვდებოდნენ.

— ნუ გეშინიათ! — მკლავში ხელი გაუყარა გერმანელმა, — მომყევით!

გადასჭრეს შესახვევი. გავიდნენ დიდ ქუჩაზე.

მიაღწიეს თუ არა სასტუმროსთან, ლეიტენანტმა ქალი შესასვლელისაკენ წაიყვანა.

— სად მიგყავართ?—შიშით იკითხა ქალმა.

— ამოდით ჩემთან, თუ არ გინდათ, ჯარისკაცების ლუკმა გახდეთ. ჩემთან არაფერი დაგიშავდებათ. სხვა გზა მაინც არა გაქვთ.

გარედ ბნელოდა. გარედ არავინ სჩანდა. ღამეში, სადღაც ახლო, მთვრალი ჯარისკაცების ხმა ისმოდა.

— ნუ ჯიუტობთ, — ხელი ჩაჰკიდა ლეიტენანტმა,—ამოდით... საშვებს მოგცემთ და ჩემს ჯარისკაცსაც გამოგაყოლებთ.

ლეიტენანტმა აატარა კიბე და თავის ოთახში შეიყვანა.

— ვიცნობდეთ ერთმანეთს!—სთქვა გერმანელმა, როცა ფანჯრებზე ფარდები დაუშვა და სინათლე აანთო:— ლეიტენანტი ფრანც კრიგე.. თქვენი სახელი?

ქალი სდუმდა. თავდახრილი იჯდა დაბალ რბილ სკამზე.

— თუ არ მეტყვით, როგორ დავწერო საშვები?

— თამარი..—ჩუმად სთქვა ქალმა.

— ებრაელი ხართ?—ნიკაპში თითი ამოსდო, სახე აუწია და თვალებში ჩახედა.

ქალის სილამაზე ერთბაშად შენიშნა.

— არა, ქართველი.

— კავკასიიდან? მერე აქ საიდან გაჩნდით?

— ქმართან ვცხოვრობდი.

— სადაა თქვენი ქმარი? ისიც აქ არის?

— არ ვიცი.

— სამხედროა?

თამარმა არაფერი უპასუხა. გრძნობდა, რომ განსაცდელში ჩავარდა და მხოლოდ ამაზე ფიქრობდა. ერთი წუთით რაღაც იმედმა გაუელვა. დააპირა ეთქვა სიმართლე, რომ ერთი თვის წინად, როცა გერმანელები მოულოდნელად შეიჭრნენ ქალაქში, მისი ქმარი ბრძოლაში მოჰკლეს. იქნება ამის გამგონე მამაკაცი უხერხულად დაინახავდა ეწვალებინა მწუხარებაში მყოფი ქალი, შეურაცყოფას არ მიაყენებდა და მართლაც მისცემდა საშვებს.

ის იყო უნდოდა ეთქვა, მაგრამ უმალვე გადაიფიქრა. ცხადად იგრძნო, რომ ახლა ამით თავს ვერ უშველიდა. მხოლოდ დაიმცირებდა თავს და უწმინდეს ხსოვნას შეურაცყოფას მიაყენებდა.

— მოიშინაურეთ! — მხიარულად მიმართა ლეიტენანტმა.—თამარ! პირველად მესმის ასეთი სახელი... იქნებ არ გისადილნიათ?

პასუხს არ დაუცადა. სუფრაზე დადგა კონსერვის გახსნილი კოლოფი, მოხარშული კარტოფილი და კონიაკი.

— გთხოვთ!

ქალი უძრავად იჯდა. მხოლოდ თავის დიდრონ წამწამებს ახამხამებდა.

—ეჰ, როგორი ყოფილხართ!—ხელი ჩაავლო და სუფრასთან დასვა ლეიტენანტმა. საჭმელი მიაწოდა, კონიაკი დაუსხა, თავისთვისაც დაისხა.

რაც დრო გადიოდა, გერმანელს მით უფრო მოსწონდა ქალი. მსგავს სილამაზეს პირველად ხედავდა. ოდესღაც, სადღაც შემთხვევით გაეგონა აღმოსავლეთელი ქალის მშვენიერება. იქნებ ზღაპარში, ან რომელიმე მოთხრობაში ჰქონდა წაკითხული. თურმე სიმართლე ყოფილა... მით უკეთესი. მეგობრებს შეახარბებს და სასიამოვნო მოსაგონარიც ექნება....

— დალიეთ! — სავსე სირჩი ტუჩთან მიუტანა ქალს. — ერთი თქვენ კიდევ, ნადირივით გიჭირავთ თავი!

თამარმა მორჩილად მოსვა.

— დასცალეთ!—დაუსხა მეორე.

მესამე სირჩის დაცლის შემდეგ თამარს მკრთალმა ფერმა გადაჰკრა. ლეიტენანტმა კმაყოფილებით შეამჩნია, რომ ქალს თავბრუ დაეხვია.. კიდევ ცოტა ხანი და ნებისყოფა წართმეული სავსებით მორჩილი იქნება... გამოცდილებით იცოდა ეს.

ლეიტენანტი გახალისდა. ენად გაგადაიქცა. რუსული თავისუფლად არ ემარჯვებოდა, მაგრამ მაინც გაუჩერებლად ლაპარაკობდა.

თამარს კარგად ესმოდა, რა იყო მისი ლაქლაქის და სიხარულის მიზეზი. სიცხისაგან გაწითლებულ სახეზე თითქო შემთხვევით მიკრული თხუნელას ჭრელი თვალები დაუფარავად ამჟღავნებდნენ მის ავხორცობას და მოუთმენლობას.

ლეიტენანტმა კიდევ დაუსხა.

— კმარა!—სასმელი განზე გასწია ქალმა,—მეტი არ შემიძლიან!

სთქვა და ადგა. ოთახში გაიარა. სარკესთან მივიდა. თმა შეისწორა.

ტანადი იყო. ტანის რხევამ გერმანელის ყურადღება მიიქცია. ისიც შენიშნა, რომ მოძრაობა ბუნებრივი იყო, არ კეკლუცობდა.

სარკესთან დამდგარმა თამარმა თვალი მიაჩერა გერმანელს. ერთხანს მდუმარედ უცქირა. შემდეგ, გერმანელისთვის მოულოდნელად, გულისწყრომით ჰკითხა:

— იქნებ არა მსურს აქ ყოფნა და თქვენი გართობა? არ ფიქრობთ ამაზე? ან იქნებ ჩემ სურვილს თქვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს?

პასუხის მაგიერ ლეიტენანტმა მხოლოდ ღიმილით გახედა.

— ისარგებლეთ იმ მდგომარეობით, რომ შეშინებული ვიყავ.. მაიძულეთ ოთახში შემოგყოლოდით.. განა ეს მიღებულია თქვენს ქვეყანაში? განა ეს ავაზაკობაზე მეტი არაა?

—არა, ძვირფასო, — თამბაქო გააბოლა გერმანელმა.—არავითარი ავაზაკობა არ არის. ჩვეულებრივი ომის კანონი გახლავთ...

ამით ყველაფერი უთხრა თამარს, რომელსაც აქამდე კიდევ შერჩენოდა ოცნება თავის დაღწევაზე. უკანასკნელი იმედი წაერთვა. მის დიდრონ თვალებში გაბოროტებამ იელვა. ლეიტენანტმა შეამჩნია, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია.

— ტემპერამენტიანი ყოფილხართ, — მცირე სიჩუმის შემდეგ ჩაილაპარაკა და თვალი გააყოლა თამბაქოს ბოლის რგოლს. — მომწონს.

თამარმა იგრძნო, რომ ცარიელი სიტყვითა და ქადაგით მასთან ვერაფერს გააწყობდა. სხვა ხერხი იყო საჭირო.

მან სწრაფად მოისაზრა და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: როგორმე გათენებამდე გაათრიოს დრო და შემდეგ... შემდეგ როგორ დააღწევდა აქედან თავს, ჯერ წარმოდგენილი არა ჰქონდა, მაგრამ დილა და ნათელი მაინც მხსნელად ეჩვენებოდა.

— რომელი საათია? — იკითხა თამარმა.

— თერთმეტი.

— თერთმეტი! — გაიმეორა ქალმა.

გათენებამდე კიდევ შვიდი საათი იყო.. გრძელი, დაუსრულებელი დრო..

— ძილის დროა, — წამოდგა ლეიტენანტი. მივიდა, ხელი მოხვია და საწოლისაკენ მიაბრუნა.

ქალი უნებურად შეკრთა და წელზე შემოხვეული ხელი ჩამოიცილა.

მამაკაცის თვალებში ბრაზმა გაიელვა.

—როგორ კატასავით დამკაწრეთ! ველური ყოფილხართ, მეტი არაფერი: მომბეზრდა ამდენი თავაზიანობა. დაწექით, მორჩა და გათავდა!—თითქმის მიაყვირა მან.

თამარი მზად იყო მართლაც სცემოდა და ამოეკაწრა მისთვის პატარა, თხუნელას თვალები. მაგრამ ამის მაგიერ უეცრად გაიცინა, პირისპირ დაუდგა და თითი ტუჩზე მიადვა:

— ოჰო, როგორი მოუთმენელი ყოფილხართ! ციც, მეტი ყვირილი აღარ გავიგონო!

ეს ისეთი მომხიბლავი სიკეკლუცით სთქვა, რომ გერმანელის ბრაზი დასცხრა. ამიერიდან ის აღარ ფიქრობდა ძალდატანებას. დარწმუნებული იყო, რომ ბრძოლა არ დასჭირდებოდა. ცოტაოდენი მოთმინება, ქალის ზოგიერთი კაპრიზის შესრულება და მეტი არაფერი.

— დავუბრუნდეთ სუფრას! — შესთავაზა თამარმა.

ახლა თითონ ქალი სჩანდა გახალისებული. შეუჩერებელი ტიკტიკი იწყო. თავის გონებაში ლეიტენანტმა შეადარა იგი გალიაში გამომწყვდეულ ეგზოტიურ ჩიტს. ის იყო მოუსვენარი მოჭიკჭიკე, ცელქი და, რაც ბოლოს შენიშნა და რამაც გააკვირვა, ენამახვილი და ჭკვიანი.

დერეფანში ფეხის ხმა გაისმა. ნაბიჯები კართან შესწყდა. ვიღაცამ დააკაკუნა და ნამძინარევი ხმით დაიძახა:

— ფრანც!

ლეიტენანტი უგულოდ ადგა და გავიდა.

რამდენიმე წუთს მათი ლაპარაკი ისმოდა. შემდეგ სიცილიც. ბოლოს კარი გაიღო და უცნობმა სახემ შემოიხედა. უცნობმა ცნობისმოყვარეობით უცქირა ქალს, გაუცინა, მისალმების ნიშნად ხელი დაუქნია და მაშინ, როცა შემოსვლა დააპირა, ლეიტენანტმა გზა გადაუჭრა, ისევ დერეფანში გაიყვანა და კარები გადაკეტა. უცნობი ოფიცერი ერთხანს კიდევ არ სცილდებოდა კარებს, რაღაცას სთხოვდა, ბოლოს ჩაიცინა და წავიდა.

— რად გააგდეთ თქვენი მეგობარი?—ჰკითხა თამარმა.

— ყოველი კაცი თავისთვის სცდილობს,—ჩაილაპარაკა გერმანელმა: — მე თქვენ თავს არავის გავუნაწილებ.

ქალს ეს სიტყვები მწარედ მოხვდა, მაგრამ არ დაიმჩნია.

— მომაწოდეთ კონსერვი,—მიმართა გერმანელს,—მომშივდა.

ლეიტენანტმა კოლოფი გაუწოდა.

— კონიაკიც დაასხით. თქვენთვისაც. ჩვენებური ღვინო დაგილევიათ? სამწუხაროა. აი გემო იმასა აქვს! თქვენ ლხინი არ იცით, ტრადიცია არა გაქვთ და იმიტომ. ჩვენში ეს ნამდვილი ღვთაებრივი ხელოვნებაა. იმ ხალხს, რომელიც ბუნებით ხალისიანი არ არის, ბნელი და ბოროტი გული აქვს...

შეხედა და მცირე სიჩუმის შემდეგ დაუმატა:

— თქვენსავით.

გერმანელმა თითქო არც გაიგონა. თამარმა განაგრძო.

— ჩემს ქვეყანაში ქალსაც სხვაგვარად ექცევიან. ასეთი შემთხვევა წარმოუდგენელია. მაგრამ ეს თქვენთვის მიპატიებია. ომის კანონი უფლებას გაძლევთ, რას იზამ!.. ასეა, არა?

მამაკაცი თამბაქოს აბოლებდა და შეჰყურებდა, როგორ სწუწნიდნენ პატარა ვარდისფერი ტუჩები კიბოს ფეხს.

— დიდხანს დარჩებით აქ?—ჰკითხა თამარმა.

— სადაც წავალ, თქვენც გამყვებით...

— როგორც მონა-მხევალი? რომ მოგბეზრდეთ? არა, თანახმა არა ვარ. თქვენ არ იცით, რა ძლიერად ვიცით ჩვენ, აღმოსავლეთის ქალებმა, შეთვისება და სიყვარული. განშორება შემდეგ სიკვდილზე უარესი იქნება. ჩვენ შურისძიებაც ვიცით... დაუნდობელნი ვხდებით... არ გეშინიათ?

პასუხის მაგიერ ლეიტენანტმა აწეწილ თმაზე აკოცა.

— მომშორდით! მომეცით საშუალება ვჭამო. რა გემრიელია კიბო! მაშ თქვენი მხევალი გავხდე?—ჰა! ჰა! არა, ეგ არ მოხდება... ქართველი ქალი მონა არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება. ჩვენ შეჩვეული ვართ თავისუფლებას და თაყვანისცემას. თქვენგანაც ამას მოვითხოვ.

ლეიტენანტმა ღიმილით შეხედა.

— დიახ, მოვითხოვ!—თითქო ხუმრობით გაიმეორა. — ისე ჩემს გულს ვერ მოიგებთ. ჩვენ მხოლოდ ამით გვიმორჩილებენ.

ლეიტენანტმა ხელებში ჩაიჭირა ქალის სახე, ერთხანს უცქირა წმინდა თვალებში და ბოლოს სთქვა:

— მე თქვენ არ მოგიშორებთ... სამწუხაროა, რომ არიელი არა ხართ. მაშინ ჩვენს ქვეყანაშიც წაგიყვანდით.

— რა დიდი წყალობა იქნებოდა!—გაეღიმა თამარს.

გერმანელმა საათს დახედა. შუაღამეს გადაცილებული იყო.

— გათენებამდე ბევრი დარჩა? — თითქო შემთხვევით იკითხა ქალმა,— მე მზად ვარ ასე ვიჯდე თქვენთან და მთელი ღამე ვისაუბრო...

— ეგ ჩემთვის სულ არაა საინტერესო!—ხელი ჩაიქნია ლეიტენანტმა.

უკვე მოუსვენრობა ეტყობოდა.

თამარმა შენიშნა ეს და ლაპარაკს უმატა.

— ვხედავ ორი ჯვარი გქონიათ. ძალიან მინდა ვნახო, როგორი ხართ ბრძოლის დროს... მაგრამ ეს შეუძლებელია. მე იარაღისა მეშინიან, ეს ჩემი საქმე არაა. ან თქვენ როგორ შეგიძლიანთ მოჰკლათ ადამიანი? არ გეცოდებათ? განა თქვენ მიეცით სიცოცხლე, რომ ართმევთ? რა ბოროტებაც არ უნდა ჩაიდინოს კაცმა ჩემს წინააღმდეგ, სასიკვდილოდ მაინც ვერ გავიმეტებ. როგორ შეგიძლიანთ უცქიროთ სისხლს?

— სისხლი საუცხოვო საქმაზია წვენისათვის, რომელიც დუღს სახელმწი-

(დასასრული იხ. მე-2 გვ.).

# ომის კანონი
(დასასრული)

დის ორგანიზმში... — სადღაც ამოკითხული და დაზეპირებული წინადადება გაიხსენა და თუთიყუშივით გაიმეორა ლეიტენანტმა.

— ვერ გავიგე რას ამბობთ? — სთქვა თამარმა. წამოდგა. გაიარა — ცხელა... გაღეთ ფანჯარა.

ლეიტენანტი სინათლის ჩასაქრობად წავიდა.

— არა, სინათლე დასტოვეთ! — შეაჩერა ქალმა.

— ეგ შეუძლებელია.

— მაშ აივანზე დავსხდეთ. იქ გრილა. თანაც მთვარესაც ვუცქიროთ. რატომღაც მთვარე მუდამ ჩემს სამშობლოს მაგონებს. თუმცა იქ უფრო წმინდაა ის და უფრო ნათელი. ოო, რა ღამეები იცის ჩემს ქვეყანაში! როგორ გაიბერება ხოლმე მთვარე!

მამაკაცმა უცბად ხელით აიტაცა ქალი და ვიდრე ის შებრძოლებას გაბედავდა, საწოლზე დააგდო.

— აჰ, როგორი ყოფილხართ! — მხოლოდ ეს საყვედური მოასწრო თამარმა, — მაცალეთ, ფეხსაცმელს გავიხდი, თორემ ლოგინი დაისვრება.

ლეიტენანტმა თითონ მოაშორა ფეხსაცმელი, შეიხსნა ქამარი, რომელზედაც რევოლვერი ეკიდა, გაიხადა კურტაკი, დაჰყარა ყველაფერი სკამზე, ქალის გვერდით დაწვა და საკოცნელად დაეწაფა.

— დაიცადეთ,—სახე იბრუნა ქალმა, — სინათლეს ჩავაქრობ.

ადგა, სინათლე გამოთიშა და გამობრუნდა.

თამარი საწოლზე ჩამოჯდა სიცილით.

— მაშ ომის კანონი, არა?.. რა გიჟი რამა ხართ... მოაშვენეთ ეგ ხელები, თორემ აივანზე გავალ... აი აგრე... ცოტა მოთმინება, კაბასაც მოვიშორებ და...

ერთ წუთში თამარმა დრო იხელთა, სკამზე ტყავის ბუდე მოიფათურა და მაშინ, როცა ლეიტენანტი დასათრევად სწვდა, ამართული რევოლვერი შეაგება.

მოულოდნელობისაგან შეშფოთებული გერმანელი საწოლიდან წამოიჭრა.

— არ გაბედო! — დაიძახა ქალმა, და სახეში მოხვედრილმა ტყვიამ იქვე ჩაჰკეცა ლეიტენანტი.

შიში მხოლოდ ახლა იგრძნო ქალმა, უნებური შიში იმისაგან, რომ აქვე გვერდით მკვდარი ეგდო. როგორც იქნა, მიაგნო ლამპას და აანთო.

საწოლის გვერდით იატაკზე ეგდო ლეიტენანტი. ერთხელ გადახედა თამარმა და უმალვე მოაშორა თვალი.

ჯერ კიდევ არა სჯეროდა, რაც მოხდა. კიდევ ბურანში იყო.

უეცრად დერეფნიდან ფეხის ხმა მოესმა. ჯერ ერთი მოდიოდა, შემდეგ მეორე, მესამე.

გასროლის ხმაზე გაღვიძებული მეზობლები აფორიაქებულიყვნენ.

კარი ვიღაცამ დააკაკუნა.

— ფრანც! ფრანც!—ეძახდნენ დერეფნიდან.

თამარმა იცნო ხმა: ეს ის ოფიცერი იყო, რომელიც წეღან შემოსვლას აპირებდა.

გარედან ხმაური გაძლიერდა. ისმოდა როგორ მორბოდნენ.

— ფრანც! ფრანც — ახლა უკვე რამდენიმე კაცი იძახდა და ურტყამდა კარს.

როცა ოთახიდან პასუხმა დაიგვიანა, კარის შემტვრევას შეუდგნენ.

— დაიცადეთ!—მოესმათ ამ დროს ქალის ხმა დერეფანში მყოფთ:—ჩავიცვამ და გავაღებ!

# ინჯას წერილი პოლიტხელ შამილისადმი
### კალე ბობოხიძე

[illegible]

ფაშიზმს ვლახვრავდი გმირული
შრომით,
აწ იარაღით შევხვდები ცბიერს.

ფრონტელ დად ვხდები, ძვირფას
შვილს ვტოვებ
და ბრძოლის ველზე მივდივარ,
შამილ,

[illegible]

თუ ვასახელებთ მშობლიურ ბაქოს,

ვით ძლევამოსილს საყვარელ
დედას,
ვით ძლევამოსილს საყვარელ
მამას, —
შეგვხვდება შვილის მღიმარე ხედვა
ბედნიერების უწმინდეს წამად!..



ფრონტისპირა რაიონებში უკრაინელი კოლმეურნეები ეხმარებიან რა წითელ არმიას მშობლიური მიწა-წყლის დაცვაში, სთხრიან ტანკის საწინააღმდეგო ორმოებს.
(საკდესის ფოტოქრონიკა)

# ფრონტისადმი მიძღვნილი საღამო მოსკოვში

მოსკოვში პოლიტექნიკურ მუზეუმში ცნობილი რუსი მწერლების მონაწილეობით მოეწყო ფრონტისადმი მიძღვნილი საღამო.

„პატიოსანი და ნიჭიერი რუსი მწერლები წარსულ მსოფლიო ომში ამაოდ ცდილობდნენ მოენახათ თავიანთი ადგილი. თვით ბლოკმაც კი ჯარისკაცის მაზარა ჩაიცვა, რა კი როგორც მწერალმა ვერ შესძლო თავისი თავის გამოყენება. სულ სხვა მდგომარეობაა ახლა საბჭოთა მწერლებმა მონახეს თავიანთი საპატიო საბრძოლო ადგილი ფრონტზედაც და ზურგში“,—ამ სიტყვებით გახსნა ეს საღამო ვ. კირპოტინმა. მწერლებისა და პოეტების გამოსვლამ დაადასტურა ეს სიტყვები. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აუდიტორიაზე ლიდია სეიფულინამ, რომელმაც გაუზიარა მას საბჭოთა დედების მიერ ფრონტზე გაგზავნილი წერილების წაკითხვით აღძრული თავისი აზრები. მრისხანედ გაისმა პ. ანტოკოლსკის ლექსი „ფაშისტი ადამიანი არ არის“. მარიეტა შაგინიანმა თავისი გამოსვლით ცხადჰყო, თუ რამდენად უსუსურია ჰიტლერის საზიზღარი ცილისწამება სლავი ხალხების მიმართ, თითქოს ეს ხალხები სრულფასოვანი არ იყვნენ. ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნეში ანცვიფრებდნენ რუსები არაბ ისტორიკოსებს თავიანთი სიმამაცით, თავიანთი მაღალი საზოგადოებრივი იდეალებით და თასნობით. მწერალმა ნ. ვირტამ, რომელიც ის იყო ფრონტიდან დაბრუნდა, გადასცა მწერლებს ჩრდილოეთის ფრონტის მეომართა სალამი და წაიკითხა თავისი ახალი მოთხრობა მოძრავ რადიო-სადგურზე და ცნობილ რადისტ ერენბურგზე.

ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ლ. კასილის მოთხრობამ „შურისგებამ“. მწვავე მოთხრობა-პამფლეტი წაიკითხა რ. კატაევმა. კ. ჩუკოვსკის ნარკვევმა მკაფიო წარმოდგენა მისცა მსმენელებს იმაზე, თუ რა დახმარებას უწევს ფრონტს საბჭოთა ბავშვების კოლექტივი. ფრონტიდან ჩამოსულმა პოეტმა შჩიპაჩევმა წაიკითხა თავისი სხარტი, ერთი მიზანდასახულობით გამსჭვალული საფრონტო ლექსები. ინტერესით მოისმინა აუდიტორიამ აგრეთვე მ. ალიგერის, მ. გოლოდნის და ს. ალიმოვის ლექსები.

# ანტიფაშისტური ლიტერატურული საღამოები

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ და კლუბმა 13, 18 და 19 ოქტომბერს მოაწყო ანტიფაშისტური ლიტერატურული საღამოები ჰოსპიტალში, კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში და მ. გორკის სახელობის კლუბში.

საღამოებში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა და პოეტებმა შ. დადიანმა, გ. ლეონიძემ, ს. ჩიქოვანმა, ი. გრიშაშვილმა, ს. ეულმა, გ. ქუჩიშვილმა, რ. ქორქიამ, ბ. სერებრიაკოვმა, ს. თავაძემ, გ. კრეიტანმა, მ. პატარიძემ, გ. კაჭახიძემ, ა. თევზაძემ, ს. ერთაწმინდელმა, ი. ნონეშვილმა, ალ. შანიძემ და ს. ხიდისთაველმა.

მოხსენებებით გამოვიდნენ ბ. ჟღენტი, ვ. გორგაძე და ს. წვერავა.

საღამოებმა წარმატებით ჩაიარეს.

---

ოთხშაბათს 22 ოქტომბერს საქართველოს მწერალთა კავშირის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ ავჭალის კლუბში საშუალო სკოლის დირექციის ინიციატივით გამართა დიდი ანტიფაშისტური ლიტერატურული ფასიანი საღამო, მთელი შემოსავალი შეტანილ იქნა თავდაცვის სახალხო ფონდში. საღამოზე მოხსენებით თემაზე „საბჭოთა ხალხების სამამულო ომი და ქართული მწერლობა“, გამოვიდა ამხ. ბეს. ჟღენტი. თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს მწერლებმა, სიმონ ჩიქოვანმა, კარლო კალაძემ, სოლომონ თავაძემ, ვიქტორ გაბესკირიამ გრ. აბაშიძემ, სიმონ წვერავამ, ვარლამ ჟურულმა, ანდრო თევზაძემ და იოსებ ნონეშვილმა.

# ახალი წიგნები

## „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“

მწერალთა კავშირის გამომცემლობამ „ფედერაციამ“ გამოსცა სამამულო ომისადმი მიძღვნილი მეორე კრებული „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“

კრებულში მოთავსებულია ლექსები და მოთხრობები, რომლებშიაც ასახულია ჩვენი გმირი ხალხის თავდადებული ბრძოლა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

კრებულში დაბეჭდილია შემდეგი პოეტების ლექსები: ალ. აბაშელის — „მამულის დროშას მზეებრ ანათებს დიდი სტალინის დიდი სახელი“, „დედა და შვილი“, „ხევსური ტანკისტი“, „ვიყოთ ფხიზელნი“, გრიგოლ აბაშიძის — „მტრები“, კალე ბობოხიძის— „ქართლის დედა“, ვიქტორ გაბესკირიას—„საბჭოთა მზვერავი“, „ბალი“, „ბრძოლის ველზე“, „შესვენება“, დავით გაჩეჩილაძის—„ოცნება გმირზე“, რაჟდენ გვეტაძის — „ლელა“ (პოემა), ვასო გორგაძის — „სამამულო ომის გმირებს“, იოსებ გრიშაშვილის—„მესტორიევ, წიგნი დახურე!“ სანდრო ეულის — „დედა მოსკოვო!“, „პოეტი პარტიზანი“, ხარიტონ ვარდოშვილის— „საბჭოთა გმირი“, კარლო კალაძის — „მიმართვა ქართველი გმირებისადმი“, „ჩვენს ქალიშვილებს“, „უსახელო მთის ბალადა“, გიორგი კალანდაძის— „მამულის დასაცავად“, გიორგი კაჭახიძის—„ბედნიერების გადასარჩენად“, „გამარჯვებისთვის“, გიორგი ლეონიძის—„მხედარი პირტახია“, „ჰეი, არწივნო!“, იაკინთე ლისაშვილის — „ლენინი და ლენინგრადი“, ალიო მაშაშვილის — „გამარჯვებისაკენ მოგვიწოდებს დიდი სტალინი“, ილო მოსაშვილის — „ლენინი ჯავშნოსანზე“, რევაზ მარგიანის — „მოსკოვისათვის“, „განა ამ გრძნობას რა შეედრება?“, „უკვდავება“, ი. ნონეშვილის—„ჩვიდმეტნი“, მიქელ პატარიძის — „ლენინგრადს“, „მე გხედავთ, ძმებო!“, ვარლამ ჟურულის—„პარტიზანული სიმღერები“, ალექსანდრე ქუთათელის — „გმირთა-გმირები“, გ. ქუჩიშვილის — „მოლაშქრე პოეტის სიტყვა“, სანდრო შანშიაშვილის — „ქართველი დედა“, ალეკო შენგელიას—„ჩვენს გამარჯვებას ჰქვია სტალინი“, სიმონ ჩიქოვანის — „ამხანაგ სტალინს, ბელადს და სარდალს“, „სამამულო ომის გმირებისადმი“, „მამულისათვის“.

მოთხრობები: დავით კასრაძის — „ლეიტენანტი ვეფხვაძე“, სერგო კლდიაშვილის — „ერთი დღის ამბავი“, „ომის კანონი“, ანდრო ლომიძის — „გმირები არა კვდებიან“, დ. სულიაშვილის — „გივი ოდილაური“, ლეო ქიაჩელის — „მამა და შვილი“, ალექსანდრე ქუთათელის — „პედრო დუდარის პარტიზანები“, დ. შენგელაიას — „შურისგება“, ალ. ჭეიშვილის — „მშობლიური ხმა“, „უკანასკნელი გასროლა“.

## „ბრძოლა გამარჯვებამდე!“

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა კრებული „ბრძოლა გამარჯვებამდე!“ კრებულში მოთავსებულია სამამულო ომის თემატიკაზე აჭარაში მომუშავე მწერალთა მიერ დაწერილი ლექსები და მოთხრობები.

კრებულში მოთავსებულია ნ. მალაზონიას, პ. ლორიას, პ. რურუას, შ. იოსელიანის, კ. რუსიძის, ნ. გვარიშვილის, შ. შუბლაძის და გ. სალუქვაძის ნაწარმოებები.

წიგნი შეიცავს 40 გვერდს და ღირს 1 მანეთად.

## აფხაზური და ქართული ლექსების ორი კრებული სამამულო ომზე

აფხაზეთის სახგამომცემლობამ გამოსცა სამამულო ომისადმი მიძღვნილი აფხაზი და ქართველი პოეტების ლექსების ორი კრებული. აფხაზურ კრებულში მოთავსებულია აფხაზეთის სახალხო პოეტის დ. გულიას, მ. ხაშბას, ს. სანგულიას, ხ. ბღაჟბას, ი. ტარბას, გ. ჯოფუას, ა. ამკუბას და კ. ხურცილავას ლექსები; ქართულ კრებულში — ხ. ბერულავას, გ. გაბუნიას, ე. უბილავას, შ. ტაბიძის, ი. ქორთუას და გ. საჯაიას ლექსები.

აფხაზი და აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მწერლები სწერენ ლექსებს ამ თემისათვის მიძღვნილ ახალი კრებულისათვის.

# სტეფან ცვაიგი ჰიტლერის გერმანიის ბოროტმოქმედებაზე

სექტემბრის დამლევს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიხსნა ევროპიელ მწერალთა კლუბი. კლუბის საზეიმო გახსნაზე სიტყვა წარმოსთქვა ცნობილმა გერმანელმა მწერალმა სტეფან ცვაიგმა. მან განაცხადა:

მთელ კაცობრიობას ვთხოვ პატიებას იმ ბოროტმოქმედებისათვის, რომელსაც სჩადიან გერმანიის სახელითო.

ჩვენ, მწერლები, რომლებიც გერმანულად ვსწერთ, განვიცდით გულის სიღრმეში დამალულ რაღაც მქენჯნავი სირცხვილის გრძნობას იმის გამო, რომ ჩაგვრისა და შევიწროების ფაშისტური აქტები დაწერილია იმ ენაზე, რომელზედაც ვწერთ ჩვენ და რომელზედაც გამოვთქვამთ ჩვენს აზრებს. თუმცა ჰიტლერულ გერმანიაში ჩვენ აღარ გვცნობენ გერმანელებად, მე მაინც ჩემს მოვალეობად მიმაჩნია პატიება ვთხოვო ყოველ თქვენგანს ყველა იმ ბოროტებისათვის, რასაც თავს ატეხენ თქვენს ხალხებს გერმანელი ერის სახელით.

---

# ერთმოქმედებიანი პიესები მარჯანიშვილის თეატრში
### ბეს. ჟღენტი

„არის მომენტები ხალხის ცხოვრებაში, როდესაც უმაღლეს მუსიკას საბრძოლო ნაღარის ხმა წარმოადგენს“, — ამბობდა ბერანჟე. ეხლა, როგორც არასდროს, ასეთ მომენტს განიცდის ჩვენი ქვეყანა. უმაგალითოდ ვერაგი და დაუნდობელი მტრის ურდოების მოსაგერიებლად ამხედრებულ საბჭოთა ხალხს ბრძოლის ველზე გამოაქვს მთელი თავისი ფიზიკური და სულიერი ენერგია და ამ დიადი ისტორიული გამოცდის დღეებში ყველაფერი მხოლოდ იმის მიხედვით უნდა განიზომოს და დაფასდეს, თუ რამდენად ეხმარება იგი ჩვენი სამშობლოს თავისუფლების დაცვის უწმინდეს საქმეს.

ახალ, სამხედრო ყაიდაზე გარდაიქმნა მთელი ჩვენი ცხოვრება. საბჭოთა ხელოვნებისა და, კერძოდ, საბჭოთა თეატრისათვის ეს გარდაქმნა მოასწავებს არა მარტო თავისი თემატიკის საფუძვლიანად გადასინჯვას და განახლებას, არამედ მხატვრული მეტყველების ისეთი ახალი ფორმების გამონახვასაც, რომლებიც გააადვილებენ დღევანდელი დღის აქტუალურ მოვლენებზე სწრაფად და ცხოვლად გამოხმაურებას.

ამ თვალსაზრისით უდავოდ საყურადღებო და დასაფასებელია მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ინიციატივა, რომელმაც თავის მორიგ პრემიერად ერთმოქმედებიანი პიესებისაგან შედგენილი საღამო-წარმოდგენა გვიჩვენა.

მრავალფეროვანი იყო ამ წარმოდგენის პროგრამა, როგორც მასში განსახიერებული თემებისა და იდეების, ისე მხატვრული ჟანრების მხრივ.

სპექტაკლი იწყება ი. იალუნერის ერთმოქმედებიანი პიესით „სასტუმროში“. მოქმედება სწარმოებს საზღვარგარეთ. საერთაშორისო სამეცნიერო ყრილობაზე მონაწილეობისათვის ჩასულ საბჭოთა მეცნიერ ქალს ფაშისტები პროვოკაციას უწყობენ, რათა რევოლუციური პროპაგანდის „დანაშაულზე“ დაიჭირონ იგი და ამით საბაბი მოიპოვონ საბჭოთა მეცნიერის გაძევებისათვის ქალაქიდან, ყრილობაზე მისი გამოსვლის ჩაშლისათვის. მაგრამ ავანტურისტულ კომბინაციებში შეუდარებლად დახელოვნებულ „გესტაპოელების“ ვერავითარმა ოინმა ვერ დასძლია საბჭოთა მეცნიერი ქალის სიფხიზლე, მდგომარეობაში გარკვევის უნარი და გამბედაობა. მან არა მარტო გაარღვია მის გარშემო გაბმული პროვოკაციის ქსელი, არამედ სახიფათო მდგომარეობაში ჩააყენა, გამოამჟღავნა და შეარცხვინა მოწინააღმდეგე — ფაშისტი პროვოკატორი.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწარმოები თავისი მხატვრულ-ლიტერატურული ღირსებით დაბალ დონეზე სდგას, საბჭოთა მეცნიერი ქალის როლის შემსრულებელმა მსახიობმა ს. თაყაიშვილმა შექმნა ტიპიური და დამაჯერებელი სახე ენერგიული, გაბედული, თავისი საქმის სიწმინდესა და სიმართლეში ღრმად დარწმუნებული საბჭოთა პატრიოტი ქალისა.

სპექტაკლის ნამდვილ მშვენებად უნდა ჩაითვალოს ილია ჭავჭავაძის „ქართვლის დედა“, რომელიც ღრმა განცდით და გემოვნებით განასახიერეს თამარ ჭავჭავაძემ და პიერ კობახიძემ. შეუნელებელ ემოციურ დაძაბულობით უსმენდა მრავალრიცხოვანი აუდიტორია შემსრულებელთა მიერ მშვენიერად წაკითხულ დიალოგს დიდი ქართველი პოეტის ამ ნაწარმოებისას, რომელიც მთლიანად გამსჭვალულია მებრძოლი პატრიოტიზმის, სამშობლოსა და თავისუფლებისათვის თავგანწირულების მაღალი გრძნობით. რა სიმართლით ასახავს ჩვენი სამშობლოს ეხლანდელ სინამდვილეს ამ პიესის მომქმედი პირის სიტყვები:

„ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა,
ხალხი მოქმედობს,
ერთის ზღვიდამა მეორემდე ერთს
ფიქრსა ფიქრობს
და ეს ფიქრია ჩვენი ქვეყნის
თავისუფლება“.

როგორის ცხოველმყოფელობით და აქტუალობით ჟღერს დიდი სამამულო ომის ეხლანდელ დღეებში ილიას მიერ დახატული ქართვლის დედის სიტყვები:

„ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე,
მამულო შვილი,
სიცოცხლე მიგეც, რომ შეიძლოს
შენთვის სიკვდილი“...

ან კიდევ ბრძოლის ველზე მიმავალ ქართველი ვაჟკაცის მიერ წარმოთქმული მონოლოგი „თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი“ — ეს მარად უკვდავი დიდებული ჰიმნი, მიძღვნილი თავისუფლებისა და პატრიოტიზმის იდეისადმი.

კიდევ ერთხელ დავინახეთ მთელის სიცხადით, თუ როგორის ძალით ცოცხლდებიან ჩვენს თანამედროვეობაში ჩვენი მწერლობის დიდი კლასიკოსების საუკეთესო ქმნილებანი, თუ ისინი სწორად იქნებიან გაგებული და წაკითხული.

სპექტაკლის პირველი განყოფილება მთავრდება მუსიკალურ-ლიტერატურული მონტაჟით „სიყვარული“ (ტექსტი დამუშავებულია ქ. კვანტალიანისა და ვ. პატარაიას მიერ, მუსიკა — ა. მაჭავარიანისა). შემსრულებელთა ანსამბლში მონაწილეობენ მსახიობები: ალ. გომელაური, ს. ზაქარიაძე, ქ. კვანტალიანი, გ. კოსტავა, მ. მგელაძე, მ. სარაული, ალ. სიხარულიძე.

მუსიკალური დამუშავებისა და აქტიორული შესრულების მხრივ მასში ბევრი რამ არის საინტერესო, ნიჭიერად, გონებამახვილურად წარმოდგენილი, მაგრამ საერთოდ ეს ნაწარმოები მოკლებულია მიზანდასახულებრივ მთლიანობას და, რაც უფრო უარესია, ზოგჯერ უშინაარსო, უაზრო ხუმრობას შეიცავს.

ხალხური „არსენას ლექსის“ ლიტერატურულ-მუსიკალურ მონტაჟს სცვლიან ლექსები და სიმღერები სიყვარულის თემაზე — ქართული კლასიკური და აშუღური პოეზიიდან. ამას მოსდევს ნახევრად ბანალური ანეგდოტი და ყოველივე ეს მთავრდება მექანიკურად მიკერებული ფინალური ორატორიით სამშობლოსადმი სიყვარულის შესახებ.

სამწუხაროა, რომ ამ ნაწარმოების დამუშავებაზე თეატრს ასე უნაყოფოდ დაუკარგავს დროც და ენერგიაც. ვფიქრობ, რომ სამამულო ომის მრისხანე დღეებში აკადემიურ თეატრს არ უნდა ეცალოს ანეგდოტებისათვის იმის შესახებ, თუ როგორ მოსტყუვდა ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელიც სატრფოსთან პაემანზე მიეშურებოდა, პაემანის მაგიერ ქალის ბებიის პანაშვიდზე მოხვდა და სატრფოსათვის გამზადებულმა თაიგულმა მიცვალებული დედაბრის კუბოზე ჰპოვა ადგილი.

ყოველთვის და მით უფრო ეხლა სერიოზული საბჭოთა თეატრისათვის შეუფერებელია მაყურებელი აცინოს რაიმე იდეურ და აზრობრივ დანიშნულებას მოკლებული საშუალებებით.

საერთო მოწონებას იმსახურებს ა. სამსონიას პიესა „7 საათი და 29 წუთი“, რომლითაც იხსნება საღამოს მეორე განყოფილება. აზრის სიცხოველეს, იდეურ აქტუალობას აქ თან სდევს სიუჟეტური მონაფიქრის სიმძაფრე და აქტიორული შესრულების სიმკვეთრე.

ფაშისტი ოკუპანტები სძარცვავენ, არბევენ დროებით დაპყრობილ საბჭოთა ქალაქს. აი ერთ-ერთ სახლში შეიჭრა დამპყრობელთა ურდო. ფაშისტმა ოფიცერმა ჰოფმაიერმა ხელთ იგდო ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტი ქალი ელენე. ჰოფმაიერი აუწერელი ველურობით დასცინის, ამცირებს, ფიზიკურად შეურაცხყოფს და გაუპატიურებას უპირებს ელენეს. ქალი უშიშრად და შეუპოვრად ეგებება განსაცდელს. მისი ერთ-ერთი საზრუნავი ის არის, რომ მოასწროს დავალების შესრულება—ააფეთქოს მტრის მიერ დაჭერილი სახლი.

დიალოგში ირკვევა, რომ ჰოფმაიერი ელენეს ძმაა. ოდესღაც გაქცეული სამშობლოდან, იგი სხვა თეთრგვარდიელ ოფიცრებთან ერთად მიექადლება ფაშისტ ურდოებს და გამოიცვლის გვარსაც.

და-ძმურმა გრძნობამ ოდნავადაც ვერ შეანელა ელენეს ზიზღი და მძულვარება ჰოფმაიერისადმი. თავდადებულმა პატრიოტმა ქალმა საოცარი გაბედულებით ააფეთქა სახლი, თუმცა სწორედ აფეთქების წუთში განგმირა იგი ჰოფმაიერის ტყვიამ.

პიესა მაყურებლის დაძაბული რეაქციის გარემოცვაში მიმდინარეობს. ვერიკო ანჯაფარიძემ გვიჩვენა საბჭოთა პატრიოტი ქალის ამაღლევებელი და დამაჯერებელი სახე ისევე, როგორც ს. ზაქარიაძემ ჰოფმაიერის როლში მკაფიოდ დაგვანახა გერმანელ-ფაშისტური ურდოების მძარცველური და პირუტყვული ბუნება.

უნდა შევნიშნოთ მხოლოდ, რომ ორივე შემსრულებელი გადაჭარბებულად მძაფრ ხაზებში ახორციელებენ როლებს. დანილინისა და რაიმონდის სატირულ პოემაში „განგაში“ ყურადღებას იპყრობს ალ. ჟორჟოლიანის მიერ შესრულებული როლი ჟორასი, რომელიც ბევრს ლაყბობს უშიშრობისა და მამაცობის შესახებ, მაგრამ რომელსაც მუდამ საფრთხე ელანდება და სასაცილოდ თრთის და ცახცახებს მის წინაშე.

მაყურებლის ერთსულოვანი სიცილი, რომელიც თან სდევს ჟორას ყოველ ნაბიჯს, გვიჩვენებს, თუ რა მწვავედ დასცინის და დაუნდობლად ჰკიცხავს საბჭოთა ხალხი მშიშრებსადა პანიკიორებს.

საღამო მთავრდება მუსიკალური სატირით „ძიება“, რომლის ტექსტიც ვ. პატარაიას ეკუთვნის. ასრულებენ ქ. კვანტალიანი და ალ. გომელაური.

ნაწარმოები წარმოადგენს პაროდიას საბჭოთა ესტრადის ზოგიერთ ჩრდილოვან მხარეზე და, კერძოდ, ზოგიერთ კონფერანსიეზე, რომელიც ლამობს რა გაართოს და გააცინოს მაყურებელი, ხშირად კურიოზულ უაზრობამდე მიდის.

ნიჭიერად და გონებამახვილად დასცინეს ამ ნაწარმოების ავტორმა და შემსრულებლებმა ჩვენი ესტრადის ასეთ ნაკლს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ამ ნაკლისაგან თავისუფალი არ არის თვით „ძიებაც“ და საერთოდ ამ საღამოს პროგრამაც.

სჩანს, ამ საღამო - წარმოდგენის პროგრამის შემდგენელნი ხელმძღვანელობდნენ „პროპორციის“ პრინციპით. გარკვეული პროცენტი რეპერტუარისა მათ მიუძღვნეს აქტუალურ საზოგადოებრივ თემებს, დანარჩენი კი უბრალო გართობისა და მხიარულებისათვის გაითვალისწინეს.

ეს შეცდომა საგრძნობლად ამცირებს მთელი სპექტაკლის ღირსებას, რომელშიაც ბევრი რამ არის ჯანსაღი და მისაწონი.

აღნიშნულ სერიოზულ ნაკლთა მიუხედავად, ამ წარმოდგენის გამოცდილებით უნდა ისარგებლონ ჩვენმა თეატრებმა, როგორც თბილისში ისე რაიონებში.

საჭიროა ლიტერატურული მასალის დასამუშავებლად თეატრმა ჩვენი კვალიფიციური მწერლები და დრამატურგები მიიზიდოს. საჭიროა ასეთი კრებადი სპექტაკლებისათვის მეტი კომპოზიციური მთლიანობა და, რაც მთავარია მეტი აზრობრივი სიღრმე, იდეური სიმახვილე.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 41142